27 ივლისი 1908 ფასი 10 შაბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 54 ყოველკვირეული ჟურნალი № 54

„ნიშადური“ წლის დამლევამდე ღირს სამი მან.

ახალ ხელის მომწერლებს გაეგზავნებათ ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი და ნიშადურის კრებულები.

## ქართული ხელოვნება

მოქალაქეთა ტიპები, გ. გაბაშვილის ნახატი.

# იდეები.

## II.

მასწავლებელო იდეისა, ჰოი, თეოფილე!
მეც, მეც გამხადე მის მორჩილი და ნეოფიტე.
სულის სიმშვიდე დამეკარგა რაც შენ გიხილე,
აწ შენ გაბარებ ჩემსა თავსა და გამოფიტე!

—

ჩემს მასწავლებელს გადუხსნია თავისა ქალა
და შიგ ილაგებს იდეიებს,—ხვალ ხალხში მიდის.
იდეიები გარს უერია ვით ბზე და ჩალა
პირველად ვხედავ იდეიებს და ჰნედა მომდის.
ჩემო ჭკვიანო თეოფილე! ეს რასა ნიშნავს?
ოო! ეგ ცხენია, მხედარი კი ნაპოლეონი,
იქვე გეგელი, ვერა ხედავ, მის ნეხვსა ხვეტავს!
ესა?—ეგ არის, ჩემო კარგო, ხამელეონი!
როგორ მიხარის თეოფილე! აგერ სატირი!
შეხე იცინის! ღედავ, როგორ ჩაბჟირებულა!
ოხ მაცა, მაცა ნეოფიტე—ეგრე ნუ უვირი
იდეიები, ხედავ, ჯერ არ ჩალაგებულა.

—

და თეოფილე რიგზედ უგელას თავში ილაგებს:
მოიტა, ჩქარა, ეგ იდეა!—აბა რომელი?
შე ბრიყვო, მითხარ რას უშტერებ სულელურ თვალებს,
იდეა არის ეგ მხედარი ცხენზედ მჯდომელი!
ეხლა მოიყვა შენ სპინოზა! მაგის ჯერია!
ახ, თეოფილე, ეს ხომ მხოლოდ ბუმბული არი?
სპინოზა არის ბრიყვო! ტუჩი გაგიბერია....
ოხ, არ გივარგა თვალთა ხედვის, ჯერეთ, ისარი!
ეხლა მომეცი უბის წიგნით ჩემი ტეზისი,
თან მოაყოლე ახილესი, ერთიც კუ! მარდათ!
თუ როგორ უნდა სწიროს კაცმა მართმადიდებლათ?
ბრიყვო გაჩუმდი! მომაწოდე შენ ეგ შარვალი!
მასწავლებელო რასა შვრები? რამ გადაგრია?
შენ, ნეოფიტე—თეოფილეს ჭკუას მასწავლი
და არ იცი რომ ეს შარვალი პითაგორია?!

—

—ეხლა მზათა ვარ. მხოლოდ თავი გადამიკერე,
შემომიჭირე რომელიმე ზედ თეორია.
კიბე მივიდგი, თეოფილეს თავს მოუკერე—
და მოვახვიე შუბლზედ მაგრად ფილაკტერია.

—

— ციც! თეოფილე, იდეია ყურიდან ძვრება!
ნუ, ნუ დატუქსავ. ეგრეთია ეგ საზიზღარი.
ჩქარა! დამიცე ნეოფიტე ყურებში ბამბა,
მაშინ სად წავა ეგ ცელქი და მოუსვენარი!
ეხლა თვალიდან—თვალებიდან ის იჭყიტება!
ოხ, არ გამექცეს! ჩქარა ფისი გამაკარ თვალზედ!
მე ველარ ვასწრობ! აი, ეხლა ნესტოდან ძვრება!
ბრიყვო, რას მკითხავ! ამოტენე პატივით ძალზედ!
პირი. ბატონო? — მანდ თაროზედ ძაღლის [illegible]
პირში ჩამჩარე, მხოლოდ ეხლა კარში დამიგდე.
მოვრჩი! მზად არის! იდეებიც სულ ჩაგეტია!
— მაშ ეხლა ჩემო ნეოფიტე კარში გამაგდე'.

1908 წ. მაისი. შალვა.

# სიზმარი

(ნამდვილი სურათი ქართველ მსახიობთა ცხოვრებიდან)

ვუძღვნი ალ. ჯაბადარს, დრამ. საზოგ. თავმჯდომარეს.

ნესტიან და უსინათლო ოთახში, რომელიც უფრო ჯურღმულსა ჰგავს ვიდრე სადგომსა, ორ ქართველ მსახიობს სძინავს.

ერთი მათგანი გამხდარი და მილეული პატარა და ვიწრო ტახტზე მოკრუნჩხულა; მეორე უფრო მსხვილი და მაღალი მოთავსებულა საცოდავად დანჯღრეულ დივანზე, უსასთუმლოდ კისერი მოგრეხია და სივიწროეს გამო ფეხები მუხლ ქვემოდ იატაკზე დაუყრია, თითქოს სხვისი იყოსო.

შუაღამეს გადაცილებულია. გამურული სამშაურიანი სანათური ოდნავ ბჟუტავს და მჭვარტლმურისა და ნავთის სუნით შხამავს ისედაც მოშხამულ ჰაერს ოთახისას.

ტახტზე მოკრუნჩხული ძილში შფოთავს და გმინავს . ცოტა ხნის შემდეგ სიზმარში სიცილი აუტყდება და თან გამოურკვევლად ჰბოდავს.

მეორეს ამხანაგის ბოდვაზე გამოეღვიძება, კისერ ნატკენი და ფეხები დაბუჟული, გიჟივით თვალებს დააჭყეტს...

პირველი ჰბოდავს და სიზმარში იცინის.

— „ეჰი, ბრაბანციო! გაიღვიძე!“ რა გემართება!.. არ გესმის კაცო, რას შფოთავ, რა ეშმაკი გაცინებს ამ შუა ღამეს?!. ეჰი, ბრაბანციო!! შეკივლა ამხანაგმა.

— უჰ, დაგლახვროს ღმერთმა! რა იყო ოტელო, რა გაღრიალებს?! უკმაყოფილოდ გაიძახის ნამძინარევი, გაიზმორება, თვალებს გამოიფშვნეტს და ძლივს გამოერკვევა. რა გაღრიალებს კაცო, რა იყო?

— მე კი არა შენ ღრიალებდი და ხარხარებდი!

— იჰ, რა მშვენიერი სიზმარში ვიყავ!.. წარმოიდგინე, ჩემო ოტელო, რაღაც მხიარულ კომედიას ვთამაშობდით, მგონი შენი მოპარული იყო.. ერთის სიტყვით კარგი რამ იყო და კარგადაც ვთამაშობდით. . თეატრში ქდევა არ იყო... მაგისთანა „სბორს“ სიზმარში თუ დაინახავს კაცი!.. ოჰდა

ვთამაშობთ და როგორ ვთამაშობთ?! კონცერტია, რალა! ასე წარმოიდგინე, შენც კი კარგად თამაშობდი...

— მე მუდამ კარგად ვთამაშობ! უკმაყოფილოდ გააწყვეტინა პირველმა.

— ჰაი ღმერთი შენ გიშველის — უძალლო ქვეყანაში ვირს ვარდი-სახარს ეძახოდნენო.. შენი საქმეა სწორედ... არა შვილოსა. ჩემს მეტი ქართულ სცენას არტისტი არ გააჩნია.. მე ვარ ერთი, ვითარც ღმერთი! . დანარჩენები კი არტისტები კი არა მეტიჩრები ხართ... მაგრამ ამას თავი დავანებოთ.. როლები ისე ვიცოდით, როგორც მამაო ჩვენო“, — თუმცა შენ „მამაო ჩვენოც“ არ იცი შე უბედურო რიგიანად!..

— გიჟია ოხერი, რას ჩამაცივდი!...

— რაო შვილოსა, სიმართლე გწყინს?... მე კი არ ვიცი... ოჰ და ვთამაშობთ დიდებულად. მთელი თეატრი სიცილით იხოცება!... ეხლა „სბორი“ იკითხე!... ალბად ამ სბორის წყალობით თუ შევტოპეთ ხელოვნების ტალღაში!.. გათავდა წარმოდგენა. ვაშას ძახილს და გამოწვევას ბოლო არ უჩანს.. ჩვენი ბედეონ ფარდას არ შორდება და პირველი ის გადის. ყველას წინ უსწრობს... სიმონიკაც თვალებს აბრიალებს სიამოვნებისაგან და მანდილოსნებს გულებს უხეთქავს..

— დაანებე ამახანაგებს თავი, შენ საქმე სთქვი! მოუთმენლად აწყვეტინებს პირველი.

— საქმეს ეხლა მოგახსენებ. შემოვარდა კულისებში „მიმინო მყვანდას“ სიმღერით ჩვენი გენო, ვენაცვალე იმას ჭკუის უჯრედებში! გვეპატიჟება „ტილი-პუჭურასთან“... ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. — ჩვენც სიხარულით „გაუმარჯოს საქართველოს“ შევძახეთ, ხელად შევარდით უბორნიებში და ფაცხა-ფუცხით მოვიხსენით გრიმი, ტანსაცმელები გადავიცვით და მყისვე გავჩნდით ტილიპუჭურას ციხე დარბაჩში. იქ უკვე ხუთიოდე ყმაწვილი გველოდა: ღიპიანი სოსიკო და კამპანია.. დავსხედით. თითო ზახრუმალის შემდეგ, თამადობა შენ მოგილოცეთ... ხომ იცი უვირისთავოდ ქორწილი არ იქნება და შენ კიდევ არც ერთ სუფრაზე თამადობა არ აგცილდება! გაიმართა ქეიფი, მაგრამ რა ქეიფი! ვჭამთ და ვსვამთ! რა გინდა სულო და გულო! შემწვარი ინდოური, დაბრაწული გოჭი, მოხარშული ქათამი ცივად, გრილად, ცხელად. ორაგული წვნით და შემწვარი მაშარაბით... საურთმა, ბასტურმა, ჩიხირთმა. არა, ვსტყუი — ჩიხირთმას ვახშმათ ვინა სჭამს?...

— ქართველი მსახიობი ყველაფერსა სჭამს! მწარედ ადასტურებს პირველი.

— მოიცა, ნუ მიშლი! ფლავი, ფლავი, შილა-ფლავი... შენც შენებურად დაიწყე შორიდან... შეგატყე რომ გუნებაზე იყავი და შეაქე და შეათამაშე მასპინძელის ჭკუა-გონება, მისი ქველობა და მაგისთანები... ადამ და ევიდან დაიწყე და სწორედ იმის პიროვნების ხოტბით დაასრულე... შე ოხერო, სცენაზე მაინც აგრე კოხტად და ლაზათიანათ ლაპარაკობდე, როგორც სუფრაზე!.. სალვინი და როსსი შენთან ქონდრის არტისტები იქნებოდნენ.

— შენს გარდა რა თქმა უნდა, ჩაუმატა პირველმა.

— არსადა სთქვა აი! ჰოდა შეაქე და შეახურე მასპინძელი. იმასაც ეგ უნდოდა! გამხიარულდა და გაშალა ფრთები ფარშავანგივით!... ხელად გაჩნდა ზურნა, დაფი და ნაღარა!... არა, შენ საქმლები სთქვი კაცო, საქმელები!!!.

— შე ოხერო, ჩემთვის რატო არა მოიტანე რა ჯიბით?! უკმაყოფილოდ უსაყვედურა პირველმა.

— ვა, დარდაკ! რალა წამამეღო, რომ შენც იქ იყავი და ყველაზე მეტად შენა სკდებოდი!!. ეჰე კმარა, გეყოფა! თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე... დაიძინე და მეც დამაძინე!... იქნება ხელ ახლად დავინახო ის ტკბილი სიზმარი... გაშლილი სუფრა.. დუდუკი .. რეჩები, ეჰ, იქნება ტილიპუჭურიდან ვერაზე დაგვპატიჟონ... ვინ იცის... ჩვენში აგრე იციან: საქმელ-სასმლით გაგხეთქამენ და ისე კი ორ გროშსაც არ მოგცემენ... მსახიობმა დაამთქნარა და ისევ ჩაწვა...

ორივეს მალე ჩაეძინათ. ცოტა ხნის შემდეგ ხვრინვაც ამოუშვეს.

— ღმერთო! სიზმარში მაინც ნუ მოაკლებ ქართველ მსახიობთ „კარგს“ წარმოდგენას, „კარგს“ პიესას, „კარგს“ შემოსავალს და „კარგს“... სუფრას!!.

**მონადირე,**

„Ubi bene, ibi patria“

Ubi bene-ო, ibi patria,
გაიძახიან ზოგიერთები,
მაგრამ იმათ აზრს, ყალბად გაგებულს,
მე ვერას გზით ვერ შევუერთდები.
და მართლაც, რაა მათი სურვილი,
„bene“ რას ნიშნავს მათის გაგებით?
ჰკითხეთ ერთს მათგანს ამის შესახებ,
და ის მოგიგებთ თქვენ დალაგებით:
„სადაც ჩვენ ვცხოვრობთ კარგად, უზრუნველად
ფული ბლომად გვაქვს ორივ ჯიბეში,

მხოლოდ იქ არის ჩვენი სამშობლო,
ibi patria, ჩვენი ნუგეში.
ibi patria, სადაც განცხრომა
და ფუფუნება ჩვენთვის მზად არი;
სადაც კუჭი გრძნობს კმაყოფილებას,
იქ გვაქვს სამშობლო—კუჭის ტაძარი.
სად ნივთიერად ჩვენთვის bene-ა,
იქ არის ჩვენი სამშობლოც, ერიც;
დანარჩენი კი რას გვენაღვლება
თუნდ თავს დაატყდეს მეხიც, მეწყერიც...
სადაც ჩვენა ვართ უზრუნველ მყოფნი
იქ არის ჩვენი მშობლის მხარეო;
ibi patria იქ მიგვაჩნია
სადაც არ გვდევნის სიმწუხარეო!.
ასე მსჯელობენ ზოგიერთები,
ღმერთად უცვნიათ მხოლოდ ღა კუჭი;
ამიტომ მთელი მათი ცხოვრება
არის უაზრო, დიახაც ფუჭი...
მაგრამ სულ სხვაა ჩემი ტრფიალი,
სულ სხვასა ნიშნავს „bene“ ჩემთვისა.
bene იქ არის მხოლოდ, სადაცა
მსმენია „ნანა“ ჩემის მშობლისა
bene იქ არის, სადაც სიყრმითვე
მინახავს მშობლის ალერსი ტკბილი;
სადაც ჰაერი, მიწა და წყალი
სუსხშიც კი არის რბილი და თბილი
bene იქ არის, სადაც ჩუხჩუხით
მთიდან გადმოდის ანკარა წყარო,
რომლის ნაკადი თვალ ყურს იტაცებს
და ურომლისოდ ვერ გავიხარო.
იქ არი ჩემი სამშობლო კერა,
იქ არის ჩემი patria ქველი,
სადიც ვშობილვარ. სადაც აღვზრდილვარ,
სადაც დამარხვას ვნატრობ და ველი.
თავს იქ ვერძნობ pene სად მამა-პაპათ
სისხლით მოურწყავთ მთა, მინდორ ველი
და სასტიკ ბრძოლით მათ შეუნახავთ
ტურფა ქვეყანა, ერის სახელი.
bene იქ არის, სადაც ყოველ დღე
ვხედავ ჩემ მოძმეს ოფლში გაწურულს;
მისი დანახვა ხან გამამწარებს
ხან კი მიღვიძებს დიად სიხარულს.
ibi patria, ubi bene-ა,
მაგრამ bene-კი ჩემთვის იქ არის,
სადაც ძალ-ღონით ჩვენ ვიმოსებით
და არ გვეშინის მტრისა მუქარის
ეს არის მხარე მრავალ ტანჯული...
მის უკეთესი ვერ მინატრია...
ჩვენ წინაპართა ნაანდერძევი
მამულ-დედული, ტურფა patria—
ამ ჩემ მხარეში თუნდაც უწყალოდ
შიმშილისგანაც ამომხდეს სული,
მაინც არ გავცვლი უცხო მხარეზე
რაც უნდ მაძლიონ შეძლება... გული
სამშობლო მხარევ, ტურფად გაშლილო,
სალამს მოგიძღვნის პაწია შვილი
და გთხოვ მიიღო მისგან ჯერ ხანად
გულის ნადები,—ვითარცა წვლილი—
მსურს გემსახურო, თავს შემოგევლო,
ვიყო შენთანვე ლხინსა და ჭირში.
მარად მზად ვიყო პირველ ძახილზე
თავი შეგწირო შენ გასაჭირში!.

**მცირე აკაკი.**

## აშენება და დაქცევა. *)

— ტრრრ...—ცივი ნიავი ჩუმის ხმაურობით მოჰქროდა და არე მარესა ჰყინავდა.

— უუუ... ჰაუ! უუუ...—ძაღლები, უქნარა—ცმუკა, ყმუოდნენ, თითქო იქაურობას, მგლების მოახლოვებას, ატყობინებდნენ.

—ჩშშშ... – მდინარე ყვირილა ხმაურობით მირბოდა, რომ მოძრაობა არ გაჰყინოდა.

ხოლო რა მიაღწევდა დაბა ყვირილასა დაქანებულს ძალ-ღონე ეშლებოდა და ნაპირები ეყინებოდა.

— მეზობელო! ხომ არ იცი რათ მიგვატოვეს ჩვენმა პატრონებმა?—შეეკითხა სახლთა შორის თავის მეზობელსა, რომელიც იდგა „სახალხო დარბაზის“ პირდაპირა.

— მე თვითონ არა მესმისრა.—მიუგო მეზობელმა.—სანამ პატრონი იდგა შიგნიდან მაინც კედლები თბილათა მქონდა. დღეს-კი ორივ მხრივ მეყინება სიცივისაგანა.

— „სანამ პატრონი იდგა!“—გაჯავრებით წაიბურტყუნა იმა სახლის კარებმა —სწორედ ჩვენი დარდი ჰქონდა...

— უთუოთ ჩვენს მედიდურს ეცოდინება.—მიუთითა „სახალხო დარბაზ-“ზედა გვერდში ამომდგარმა სახლმა.

— საიდუმლოა!. .—მიუგო მედიდურადა „სახალხო დარბაზმა“.

— „საიდუმლოა, საიდუმლო!“... განმეორებით წაიფუჩუნა უკმაყოფილოდ წაბლის ხის ჩარჩომა და დადუმდა ნერწყვ გაყინული.

*) იხ. ნიშადური № 50.

— საიდუმლოა მაშ!?.. —უბრძანა სვეტის თლილმა ქვამა და ზევიდგან აგრძნობინა თავის სიმძიმე ჩარჩოსა.

ამდროს ჩაკირულს კენჭსაც სურდა გამოეჩინა თავისი არსებობა, მაგრამ გააწყვეტინა თრთოლვით დედამიწამა:

კმარა, ჩემნო ტვირთნო!... მოემზადენით... მოდიან...

— „მოდიან, მოდიან!...“—ყველამ ერთხმად საიდუმლო ათთრთოლებულის ხმით წაიდუდუნეს. ხოლო გაბედვით ეკითხათ: „ვ-ნ მოდიოდა?“ ველარ გაუბედეს დედასა.

ამ დროს დიდმა ხანმა არ გაიარა, რომ სიბნელე დაარღვია ცეცხლის ალმა, რომელიც ერთი სახლიდგან მეორე სახლისაკენ გადადიოდა.

უ ნარა-ცმუკია ძაღლები, ნაცვლად სახლის დაცვისა, შიშით ნოცულნი ყეფა წკმუტუნით კუდ ამოძუებულნი მირბოდნენ ტყისაკენა, როგორც ცოფიან მგლებით დადევნებულნი.

შენობის ყოველი ნაწილნი ალში გახვეულნი კვნესით გაიძახოდნენ: „დედა მიწავ. დაგიწვით...“ და დამწვარ-დადაგულნი ძირს ეცემოდნენ.

დედამიწაც მით იხუტებდა და აგრილებდა დამწვარ დასუსხულებს.

ხოლო ადამიანი?—ხელს ითბობდა!. .

**ს. გლახაშვილი.**

## ე ლ ე გ ი ა.

მთვარე მიცურავს. მკვდარი დუმილი
გამეფებულა ირგვლივ მთა-ველად.
ობოლი მუხის შავი აჩრდილი
ტრიალ მინდორზე სდგას გაუნძრევლად.
მხოლოთ ურემი ძნით დატვირთული
აღვიძებს ბარსა ნელის ჭრიალით:
მაზედ მეურმე ძილმორეული
ღიღინებს მწარედ თავის ყიალით
და ეს სიმღერა, სმენის დატკბობა,
ნაღვლიანია, ვით თვით ნაღველი:
შიგ ისმის კვნესა, უსამართლობა,
ცხოვრება მწარი, აუტანელი...
მთვარევ, შენ მაინც გეცოდინება
და, გული მწარედ რომ არ მიწუხდეს,
მითხარ: „ნუ თუ კვლავ დიდხანს იქნება,
რომ სიმღერაშიც კვნესა ისმოდეს“!
მაგრამ მთვარე, დუმილით სავსე,
კვლავ ეფარება ლეგა ღრუბელსა;
მხოლოდ სიმღერა ნაღვლით აღსავსე,
გულის სიღრმიდან ეძახის ცრემლსა.
მთვარე მიცურავს. მკვდარი დუმილი
მხოლოდ სიმღერით ირღვევა ნელად.
ობოლი მუხის შავი აჩრდილი
ტრიალ მინდორზე სდგას გაუნძრევლად,

**ი. მჭედლიშვილი.**

## გ ე დ ი.

ლაბაში გაქვავდა; ცხვირს აღარ აშორებდა წყლის პირათ მოზარდ ტირიფის ბალახ-ბულახით შემოსილს ძირს; მხოლოდ კუდის ქნევით სასიამოვნო ამბავის გადმოცემას ცდილობდა. მეც ფეხაკრეფით ნელა მივედი, კიდევ უფრო ფრთხილათ გადავწიე ხის შტოები და მივიხედ-მოვიხედე: ბამბასავით თეთრი, კისერი მოღერილი გედი, შუა წყალში უძრავათ შეჩერებულიყო და მედიდურათ შემომყურებდა, თითქოს უცდის როდის დაუმიზნებ თოფს, რომ მომასწროს და თვალთაგან გამისხლტესო.

მაგრამ სულ სხვა სურათი წარმომიდგა და ტყვიისთვის ველარ გამოვიმეტე წყლის ვარდი.

—

შვიდმეტი წლის ვიყავ. ოთახებში ვერ ვნახე. დავიხურე ქუდი და ეზოში გამოვედი საძებნელათ. ღამდებოდა. მხოლოდ ალვის ხის წვერს კიდევ შერჩენოდა მზის სხივები. ეზოს ბოლოში, სადაც ტყე იწყება, ხის ძირში იჯდა და ,,განდეგილს'' კითხულობდა. სწორეთ, თვით შური-მტრობა, ვერაფერს იტყოდა ცუდს მაზე. ღვთიური სათნოება ხორციელ სილამაზეს და ბავშურ მხიარულებას განსაცვიფრებლათ შეერთებოდა. ერთხანს ვსტკბებოდი შორიდან ჭვრეტით; მერმე ჩუმათ მივეპარე და მხარზე ხელი დავადევი. შეკრთა, უკან მოიხედა და თვალებში შემომაცქერდა.

შენა ხარ, რათ შემაშინე?

პასუხი აღარ მიბიცია. უცბათ სკამს შემოუარე და გვერდს მოვუჯექი. ერთმანერთს მომღიმარი შევჩერებოდით. რაღაც ძალამ ჩემი ხელები აიღო და მას მოხვია... ხმის კანკალით, გულის ძგერით მე ათასჯერ ვეკითხებოდი: ხომ გიყვარვარ... თქვი... თქვი!... მიყვარხარ, მარა გამიშვი, გამიშვი, შენ გენაცვალე!

თუმცა ქალწულებრივი მორცხობა ძალა უნებურათ აიძულებდა მას ცდილიყო გაენთავისუფლებინა თავი, მაინც ვატყობდი, რომ უყვარდი და ეს გიჟური, ყმაწვილური სიყვარულის ახსნა მასაც ასიამოვნებდა. ბოლოს ველარ მოითმინა; რაც გულში თვეობით ჩაეხვია, რაც ეთმინა—ერთიანათ წამოხეთქა: მიმიკრა ცალის ხელით გულში, მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელზე შემომხვია, მაკოცა მწვავათ, მაგრათ თითქოს უნდოა სამუდამოთ აღბეჭდოს თვისი სიყვარულია და მითხრა: მიყვარხარ, გაღმერთებ... ჩვენ ვერაფერი დაგვიშლის.. ბედნიერები ვიქნებით...

მერმე ყელი ყელს გადამიჭდა...

მას აქეთ არც ერთს ჩვენგანს ბედნიერება აღარ უგვრძვნია დავდივართ ქვეყნათ, როგორც აჩრდილნი და ვიტანჯებით გულსაკლავათ.

—

გედმა ერთი ჩაიყურყუმალა, მერმე ფრთა ფრთას შემოკრა და გაფრინდა; ფრენის დროს ვერ იყო მოხდენილი, მაგრამ გზა მაინც დამილოცნია. ლაბაში უკმაყოფილო დარჩა; გაკვირვებით დიდხანს მიყურებდა და, იქნება, თავისებურათ კიდევაც მაგინებდა.

**ნ. ლორთქიფანიძე**

## ᲨᲔᲚᲚᲘᲓᲐᲜ.

(თავისუფალი თარგმანი)

კამკამა ნავი შადრევანისა
მზისა სხივებზე ვარდს ეპკურება,
მაგრამ შავს ნისლში და მთვარის შუქზე
მიბნედილია მისი მშვენება!.
ნასესხი სხივი, თუნდაც ნათელი,
სხვისთვის ცივია და მუდამ ბნელი!..

—

ამ ყოფაშია საბრალო გულიც!.
თუმც არა ბრწყინავს ვით ბაღში ვარდი,
მაგრამ ყვავოდა და უკვე დასჭკნა...
ნათელ დღემ უძღვნა ნაღველი, დარდი!...
სამტროდა მტყორცნე სხივი მხურვალე,
შემდეგ მიმუხთლე, — არ შემიბრალე!..

**ა. შანშიაშვილი.**

## ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲓᲐᲜ

(ნაწყვეტი)

მე შენს წინაშე თავს არ დავიმკრობ
თუნდა სიკოცხლეს ვეთხოვებოდე,
შენი ღიმილი ჩემს სულს ვერ დასძლევს, —
სხვა და სხვანი ვართ ეხლა იცოდე.
ნუ დაივიწყებ: თავისუფლებას.
ვერ მოგცემ ტყუილ გატაცებისთვის,
უიმისოთაც გავწირე წლები
შენის ღიმილის და თვალებისთვის;
უიმისოთაც დიდხანს ვითმენდი
და მქონდა მარად შენი იმედი,
სულ შევიძულე მთელი ქვეყანა,
რომ უფრო ძრიელ შემყვარებოდი!
მე მზათ ვიყავი შენი გულისთვის,
რომ მთელ ქვეყანას შევბრძოლებოდი,
თვით სიკვდილისაც არ მეშინოდა,
ოღონდ შენს ბაგეთ დავკონებოდი!
მძულდა ღალატი ყველაზე ძრიელ,
ჩემს სულსა და გულს შენ მოგიძღვნიდი;
იცოდი ფასი ასეთი მსხვერპლის?
იცოდი, მაგრამ მე არ გიცნობდი!..

**ვერტერ.**

## ᲐᲛ ᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲘᲑᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ.

### მასპინძლობა

ერთს ქვეყანაში, ჩვენი მხრის მსგავსა, ძველთაგან ცხოვრობდნენ მრავალის წლობით დაშორებულნი ძმები, მათ შორის შატლავუა და გიჟვრაცუა ძალიან დაახლოვებულნი იყვნენ მიჯნებით, ურთიერთობით და ყოფა-ცხოვრებით.

ნებაუნებლიეთ ხშირი მიმოსვლა და აუცილებელი დამოკიდებულობა ჰქონდათ ერთმანერთან.

ჟამსა გაზაფხულისას და განახლებისას, როცა ყველას იმედი მიეცა თავის ცხოვრების გაუმჯობესობისა და თვით გამორკვევისა, შატლაუამ მიიწვია გიჟვრაცუა და ჩვეულებრივის „ძმობილობით“ გაუმასპინძლდა.

მშვენიერად მოკაზმულ სუფრაზე თვალ-საჩინოთ დაწყობილი იყო ოცდასამი თავი საჭმელ-სამელი „კავკასიის სეიმისა“ მსხვილ ასოებით დაბეჭდილი მენიუ (საჭმელების ნუსხა) თეფშ მათლაფები კი ცარიელები იყო—საკბილო ზედ არა ეწყო რა.

— მიირთვით, დასტკბით და შეექეცით ძმებო და მეგობრებო! ყალთაბანდურის თავაზიანობით უმასპინძლებოდნენ გაკვირვებულ და პირ დაღებულ გიჟვრაცუებს.

— გმადლობთ, ბატონებო, აგეთი გულუხვი მასპინძლობისათვის... განა პირველად ვხედავთ თქვენ გულკეთილობას... გმადლობთ .. ნურც ჩვენ დაგვივიწყებთ... გვეწვიეთ, იმედია არ დაგვზრახავთ ჩვენს მასპინძლობაზე!.. უპასუხებენ შიმშილისაგან კუჭ ამომწვარი სტუმრები.

არ გასულა დიდი ხანი. შატლავუებმა ახლო მახლო მეზობლებსაც მოუწოდეს... იფიქრეს, თუ მუქთია მასპინძლობა, ბარემ ბლომად ვეწვიოთ გიჟვრაციებსო, დავსეტყოთ... და წამოვიდნენ.

დადებული იყო გაშლილი სუფრა. რა გინდა სულო და გულო, რომ ზედ არა ყოფილიყო! ყველა-

ფერი ბლომად და ნოყიერი და გემრიელი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ყველაფერს „საქართველოს ავტონომიის“ საწებელი ჰქონდა გადასხმული...

არ ეამათ სტუმრებს ეს საწებელი, განსაკუთრებით კი შატლავუებს.

— აბა შეექეცით ძმებო და მეგობრებო... მართალია, საჭმელ-სასმელი ბევრ თავიანი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ყველაფერი ახალი, გემრიელი და მარგებელია... აი თუნდა ის ბატკანი—„სრულ კულტურულ თავისუფლების“ ბალახზე გასუქებული... ან კიდევ ეს ღვინო „ეროვნული თავისუფლება საქართველოს ავტონომიის საზღვრებ შუა“ მიირთვით .. აბა გასინჯეთ!

გასინჯეს.

ბევრს არ ეჭაშნიკა და არ ეპიტნავა „საქართველოს ავტონომიის“ ზედ გადასხმული საწებელი, მაგრამ რომ გასინჯეს—ეამათ. არც თუ შატლავუები იყვნენ მეტად გულნატკენნი და ნაწყენნი, თუმცა ახალგაზდები და ჯეილები, განსაკუთრებით ცხრა მთას იქით გადმოხვეწილნი, იჯღანებოდნენ და მაინც სჭამდნენ და სვამდნენ.

სტუმრებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომელნიც არ თაკილობდნენ არც საჭმელს და არც სასმელს... მაგრამ ერთმანერთს მტრულად უყურებდნენ და სხვის სუფრაზე ბრაზი მოსდიოდათ სიხარბით...

მასპინძლები დარდი-მანდულად და ჩვეულებრივის რაინდობით ყველას თავს ევლებოდნენ და მრავალჟამიერს მღეროდნენ.

დასკვნა.

„სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს კი ორივენიო“

**სკვითი.**

## რომანსი

ტურფავ, მიმღერე ჰანგი ციური,
რომ გულმან ჩემმან გამოიდაროს;
შორს გადატყორცნოს ბადე სევდისა
კვალად აღდგომა სულსა ახაროს!...
შუბლი შემიმკე ვარდ-ზამბახებით,
გადამაფრინე ოცნების მხარეს;
იქ, მშვენიერო, მომიალერსე
მკერდს მოესვენე ტრფობით მგზნებარეს.
ხმა შეწყობილად მომ.რთე ჩანგი,
ნელად მიმღერე ციური ჰანგი!..
მწარე წარსულის მსურს დავიწყება...
გრძნობაო სიმშვიდე სულს ენატრება!..

**ა. შ—ლი.**

## ჩვენი დანტონები

Когда Дантону совѣтовали покинуть Францію въ виду опосности, каторая грозила ему со стороны Робеспьера, онъ отказался, отвѣтивъ: „не могу же я захватить Францію но подошвахъ моихъ сапогъ.“

როცა დანტონს მისი მტრები
გილიოტინით ემუქროდნენ,
მისი ახლო მეგობრები
თანაგრძნობით აფრთხილებდნენ:
„დაგვიჯერე, წადი მალე—
რობესპიერ ძალზედა გმტრობს,
დღეს თუ არა მაინც ხვალე
გილალატებს და დაგამხობს...
თავი სხვაგან შეაფარე—
მით აიცდენ განსაცდელსა,
დროით მაინც გაიხიზნე
სხვა ქვეყანას, სხვა სოფელსა“...
უპასუხა მათ დანტონმა:
„სამშობლო ვის დავუტეო,
ხომ ვერ შევძლებ მის წაღებას
ამ ჩემს წაღის ქუსლებზეო...
ვერსად წავალ სამშობლოდან,
როცა აქ კვდებიან ძმები;
რაღად მინდა მე სიცოცხლე,
თუ მამულს ვერ ვენაცვლები!“
ჩვენი დროის დანტონებო,
როგორ გევხართ თქვენს წინმსვლელსა:
ის სამშობლოს მტლად დაედო,
თქვენ კი სთელავთ მის სახელსა!

**შალვა ქართველიშვილი**

## წარსულიდან

შუა ღამეა. სოფლის მუშა ხალხს
დაღლილ—დაქანცულთ მისძინებია,
კაშკაშა მთვარის მკრთალი ნათელი
მდუმარე სოფელს მისჩერებია...
უცბად შეინძრა მთელი სოფელი—
ცეცხლი გიზგიზებს... ავარდა ალი...
ზუზუნებს ტყვია... იწვის გლეხობა...
ჰგმინავს ქვეყანა! .. ხარობს მტრის თვალი!
ჯოჯოხეთი სდგას .. ბარბაროსები,
ვით ნადირები, ხალხს დარევია...
ბავშვებს და ქალებს პატივსა ხდიან...
ამგვარ ტანჯვა ხალხს ჯერ არ სწვევია!

**კ. ენოსისელი.**

**თავ. ბისმარკი.**
(გარდაცვალ. 10 წლის გამო † 17 ივლისი 1898 წ.)

**ცნობილი მეცნიერი პროფესორი მენდელეევი.**
(გარდაცვალების გამო)

## ნეტავ როდისმე თუ მოვესწრობი?..

ცა მოიღრუბლა. დაბნელდა არე.
მრისხანე ქარი ბზუის, გრიალებს..
ელვა და ჭექა ასტყდა ცის კიდეს,
მეორედ მოსვლას კაცს მოაგონებს.
შეწყდა ფრინველთა სტვენა და ხმანი
ყველა ცხოველი თრთის და კანკალებს
მრისხანე ძალა სულ შამხუთველი
დაუნდობელად ყველას მუსრს ავლებს...
ნეტავ როდისმე თუ მოვესწრობი,
რომ ცა ლურჯათა კვლავ მოიწმინდოს
და ჩემს სამშობლოს სუდრით დახურულს
სხივი ნათელი კვლავ მოეფინოს...?

**მ. ლომიძე.**

* * *

დაჰბერ-დაჰქროლე ქარო ძლიერო,
და მომაშორე სევდა ნაღველი,
წაიღე შორსა და ცხრა მთას იქით
შენ გადასტყორცნე ჩემი მტანჯველი.

—

ისე გააქრე, რო ამიერით
ველარც მიხილოს, ველარც მობრუნდეს,
და მისგან ნატკენ, ტანჯული გული
შიშით და კრძალვით კვლავ აღარ სდუმდეს!..

**კაპიტონი.**

## მშვიდი საღამო.

უძღვნი ნ...

მწუხრი ნელნელა მიახლოვდება,
ცაზედ ვარსკვლავი მკრთალად ენთება!
სადღაც სიმღერა ნელად წკრიალებს
და წყარო ცელქად მიხტის, ჩქრიალებს!
მდუმარე ნაძვსა ნიავი არხევს,
კამკამა ნავი ყვავილებს ალხენს.
ფოთოლი ფოთოლს ეალერსება,
ბულბული სატრფოს გულს ეკონება!
— მშვიდო საღამოვ, რად მიმღერ ჰანგებს,
მთვარევ, რად მაფრქვევ ნათელსა სხივებს, —
როცა სატრფოსგან მკვდარია გული
და არცა ათბობს მას სიყვარული?..

**ა. შ—ლი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ხელოვნება

მხატვარი გიგო გაბაშვილი.

## რ ო მ ა ნ ს ი

(გვაზავასებური)

გაზაფხულია, მაისის დილა,
მზე არსით მოსჩანს, საამოდ გრილა,
ხის ძირას ქალი გადაწოლილა...
საამურია!

ცელქი ნიავი არხევს მიდამოს,
წყარო ჩუხჩუხებს დილა-საღამოს,
ფრინველთ ჟღივილი გულს სცხებს მალამოს...
ბედნიერია!

ვიშ რა დილაა, რა ნიავია,
ვიშ რა ქალია, რა ნაწნავია,
ხელში ყვავილი მას უკავია...
მშვენიერია!

ტკბილად ღიღინებს და იქარვებს წყლულს,
ვნებით სავსესა კოცნა ძალზე სწყურს,
ბუჩქთან ოცნებობს, ჰნატრობს სიყვარულს...
ტრფობა სწყურია!

შემოდგომაა, ბუჩქი არ ჰხარობს,
ფრინველთა გუნდი აღარა ჰგალობს,
გაქსუებული სიკვდილსა ჰნატრობს...
უბედურია!

გრი—გრი.

* * *

ბევრს ახლანდელს ქალიშვილს
უმაღლესი კურსები,
მე რო ვხედავ, ჰგონია
ეს... ოკრიბის კურსები.

ჩვენს კურსებში მკურნავი
ქარების აბანოა,—
უმაღლესი კურსებიც
იგივ სამკურნალოა...

მაგრამ სულ სხვა სატკივრის
და სხვა გვარი ქარების...
იგი კურნავს სხვა სენებს
ახლანდელი ქალების.

აბანოთი კი ვხედავ
მე ბევრს განკურნებულსა,
მაგრამ მაღალ კურსიდან—
არვის დაბრუნებულსა,

რომ იგივე ქარები
არ სჭირდეს, არ უქროდეს,
გული ჩვენთვის ტკიოდეს,
ქვეყნისათვის ფიქრობდეს.

თომა-ბუსა

## ო რ - პ ი რ ი.

ტყუილად კი არ ეძახიან კაცს ორპირს, თუმცა ორი პირი არა აქვს და რომ ორი პირი ჰქონოდა აი რა იქნებოდა:

— ბერები და მოლოზნები—ერთი პირით სამარხოს მიირთმევდნენ, მეორით კი სახსნილოს.

— ჯაშუშები ერთი პირით ქებას შეასხამდნენ თავიანთ მსხვერპლს, მეორეთი კი გასცემდნენ.

— წვრილ-ფეხა მოხელეები ერთით მოწონებით მოიხსენებდნენ უფროსებს, მეორეთი კი ჯანდაბისაკენ გზას დაულოცავდნენ.

— ვაჭრები ერთის პირით საქონელს შეაქებდნენ, მეორეთი კი დაგცინოდნენ.

— ბავშვები ერთის პირით დედის ძუძუს მოსწოვდნენ, მეორეთი კი დაკბენდნენ.

— ქართველი დეპუტატები დუმაში ერთის პირით ცენტრალიზმს აღიარებდნენ, მეორეთი კი ავტონომიას.

— ქალები-ცოლები ერთის პირით ქრმებს დაკოცნიდნენ, მეორეთი კი საყვარლებს.

— ესდეკები ერთის პირით „რეჩს“ იტყოდნენ, მეორეთი კი „ვაშას“ შესძახებდნენ.

— ლევან ყიფიანი ერთის პირით გაილანძღებოდა, მეორეთი კი ბოდიშს მოიხდიდა.

— ანტონ ფურცელაძე ილია ქავჭავაძის ფონდს ერთის პირით თანაუგრძნობდა, მეორეთი კი ძირს გამოუთხრიდა.

— კარლო ჩხეიძე ერთის პირით ხატებს აბუჩად აიგდებდა, მეორეთი კი იტყოდა: „ღმერთო შეგცოდეო“.

— აბდულ-ჰამიდი ერთის პირით კონსტიტუციას აღუთქვამდა ოსმალოს, მეორეთი კი ბრძანებას გასცემდა „პაგრომი“ მოეხდინათ...

მონადირე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თფილისის სემინარია XIX საუკუნე. *)

(მოგონება)

ყველაფერს, რასაც დასაბამი აქვს, დასასრულიცა აქვს. ბოლოს მოეღო დიმიტრის მოღვაწეობასაც ტფილისის სემინარიაში. ერთ ბედნიერ დღეს გავიგეთ, რომ აბაშიძეს ერთგული სამსახურისთვის არქიმანდრიტობას აძლევენ და არდონის სემინარიის რექტორად ჰნიშნავენო.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

თუმცა გავიგეთ ისიც, რომ მის მოადგილეთ ჰნიშნავენ სასტიკ ბერს სტეფანეს, მაგრამ ვინც უნდა დაენიშნათ მის ადგილას, ჩვენ ყველას უპირატესობას მივცემდით დიმიტრისთან: სხვაა, როცა გაბატონებული ეროვნების კაცი სდევნის დაჩაგრულ ეროვნებას, სულ სხვაა, როცა შენივე ტომის კაცი ზიზღით და სიძულვილით გეკიდება მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერთა სიყვარული დაიმსახუროს.

დიმიტრის გადაყვანის ხმა გამართლდა. გავიგეთ დღეც, რომელსაც იგი უკანასკნელად დასტკბობდა ჩვენთან ჭამადს (ინსპექტორი შეგირდების სასადილოში სჭამს პურს).

ჩვენს სიხარულში შხამი გაურია ერთმა გარემოებამ: რამდენიმე მის შვილობილს ფული მოეგროვებინათ, არქიმანდრიტის „სლუჟებნიკი“ (კონდაკი) ეყიდათ და სიტყვების მზადებასაც შესდგომოდნენ. ყველანი უფროს კლასელები იყვნენ.

ბრაზი მოერია ყველას როგორ? დიმიტრის საჩუქარი და სამადლობელი ხოტბის შესხმა?! დაუწყეს მოწაფეებმა მეექვსე კლასელებს ლანძღვა-გინება. ისინიც რჯულსა და ღმერთს გვეფიცებოდნენ, რომ ყველაფერი რამდენიმე კაცის საქმეა, მთელ კლასს ხუ გვლანძღავთ, ჩვენც საშინლად ვართ აღელვებულნი და ყოველ დღე ჩხუბი გვაქვსო.

მართლაც იმდენად შეეწუხებინათ ეს ვაჟბატონები ამხანაგებს, რომ სიტყვების დაწერა და გადაწერა კლასში ვეღარ მოახერხეს და საავადმყოფოში მუშაობდენ.

„სლუჟებნიკიც“ იყიდეს.

ამ მოძღვრის პატივცემულთაგანი სამი ქართველი მოწაფე იყო, ერთი ოსი და ერთი ბერძენი.

აი დარეკეს ზარი და დიმიტრის სამგზავრო პარაკლისი უნდა გადაუხადონ. ყველას სიხარულით აქვს გული სავსე, რომ თავიდან ჰშორდებათ მამა ინსპექტორი. მეორე მხრივ დელავენ, რადგან იციან განზრახვა უდირსი ამხანაგებისა. კბილის ღრჭიალით მოელოდებიან იმ წამს, როცა წარსდგება «სლუჟებნიკით» მიხაკო და სიტყვას ეტყვის დიმიტრის.

დაიწყო სამგზავრო პარაკლისი.

უცბად, ელექტრონის სიჩქარით, ხმა გავრცელდა ამხანაგებში, რომ ღმერთმანი, სწორედ პარაკლისის წინ, „სლუჟებნიკმა“ მტკვრისკენ გაისეირა. მეორე რედაქციით, ულაგო ადგილას იქმნა ჩაძახებული. სიხარულისგან ერთბაშათ არავინ დაიჯერა. დავათვალიერეთ ჩვენი ყმაწვილები — რადაც დაძმარებულები არიან. მაშ მართალი ყოფილა! მერე შეჩვენებულებივით იმიტომა დგანან, რომ მარცხი მოსვლიათ; დაუწყეს მოწაფეებმა მჭერ-მეტყველებს შორიდან გაბრაზება და ჩახველება.

რაც იმ ნახევარ საათში ბედნიერება გამოვცადეთ, მხოლოდ ის მიხვდება, ვისაც თითონ გადახედია ამ გვარი ამბავი.

გათავდა პარაკლისი. წარსდგა მიხაკო და დაიწყო სიტყვა. შეგირდებმა ხველას და ცხვირის ცემინებას მოუმატეს. ნერწყვი უშრებოდა მიხაკოს, მაგრამ ბოლომდის გადააბულბულა სიტყვა, რომელშიაც ქებათა ქებას ასხამდა დიდებულ მოძღვარსა. სიტყვიდან გაპოსტოვა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ნათქვამი იყო; მადლიერნი შვილნი ჩვენს მარადის საგონებლად „სლუჟებნიკს“ გიძღვნითო.

წარსდგა ოსი და მოახსენა: წადი, ბედნიერი ოსეთი დიდი ხნის მოუთმენლად მოელოდება მაღალ-ღირს არქიმანდრიტ დიმიტრის ხილვასო.

შემდეგ თითონ აბაშიძემ მიმართა შეგირდებს სიტყვით, სადაც თავისი სიყვარულით შეზავებული მოქმედება გაახსენა უკანასკნელათ.

სემინარიელები კი კვლავ განგებ ახველებდენ. მიხვდა თავადიშვილი, რასაც ნიშნავდა ეს განუწყვეტელი ხველა მოწაფეებისა, გაიგო ისიც, რომ მისთვის დამზადებული „სლუჟებნიკი“ უწმინდურების ორმოში დასცურავდა.

ბოლოს ეს და მოახერხა: „ჩამოიხედეთ საწყალი ბერის გულში, მე თუ გდევნიდით, კეთილი მინდოდა თქვენთვის. „Если я ранилъ васъ, раны зарубцуются“.

მოწაფეები კი თავიანთ გულში ასე უპასუხებდნენ. წადი, დროით მოგვშორდი, შენი ავიც და კარგიც ვიგემეთ, საქმენი შენნი გამოგაჩინებენ შენ, რა საჭიროა ბევრი ფარისევლობა— და ხველა, ეს ერთად-ერთი იარაღი ბოროტი დაცინვისა და სიხარულისა, ისევ გაისმოდა სემინარიის ვეებერთელა საყდარში.

### III.

წავიდა დვაწლით შემოსილი დიმიტრი, მაგრამ ჩვენთან დარჩნენ მისი წიწილები.

მეორე დღეს „სულიკოს“ ხმაზედ ყველა კლასში მღეროდნენ შემდეგ ლექსს:

წირვის შემდეგ სირ-აქლემა *)
გარდერობში ჩასულიყო—

*) იხ. „ნიშადური № 44.

*) ბერძენი შეგირდი. მაღალი და წვრილი ტანისა იყო.

ახალს სლუჟებნიკს ეძებდა,
ვერ ჰპოვა — დაკარგულიყო.
მთლად ფერ-წასული სტრაუსი
იქიდგან ამოსულიყო,
ამა ელდისა ცემისგან
წინადამ წაქცეულიყო.

ლექსი სრულად აღარ მახსოვს. სირაქლემა ფიქრობს, „სლუჟებნიკი“ იქნებ ჩემმა გულითადმა ამხანაგებმა აიღე-სო და ეკითხება ილიკოს:

არაფრის მცოდნი უაზანი *)
იქვე ხეს მიყუდებიყო,
გულ ამოსკნილი ჰკითხავდა:
შენ ხომ არა გაქვს, ილიკო?
აბრგვილ-მეტყველდა ნელ ნელა, **)
პირიდგან დორბლი ჰყარაო,
ლაპარაკს რომ ვერ ახერხებს,
თავ-ვათ ანიშნა: „არაო“.
არაო?! შეკრთა სტრაუსი.
რას იზამს? აღებს პირსაო,
და იმედ გაცრუებული
გადაგორდება ძირსაო.
გადიოდ-გამოდიოდა
გულ ჩათუთქული მიხაკო,
„სლუჟებნიკს“ მალ-მალ ჰგონებდა:
სადა ხარ, ჩემო წიგნაკო?!

შემდეგ მიხაკოს ეუბნევიან თანა-მოაზრენი: შენი ჭირი ჩვენ, ჩვენო ციცერონო, მამას რომ სიტყვა მოახ-სენო, ისიც ჩაუმატე, მტრებმა რა ოინი გვიყვესო.

შეიკრიბებოდნენ სადამოს ხუთ საათზედ პანსიონში შეგირდები თუ არა, შემოსძახებდნენ ამ ლექსს, ჩაისა და დამის ლოცვის წინ ხომ ბენეფისი იყო ხოლმე ციცერო-ნებისა.

რასაკვირველია, მალე გაიგო სემინარიის მთავრობამ ლექსის შინაარსი. დაფაცივდა, დაგვემუქრა. მაგრამ ვერა გააწყო რა. რადგან აღარ იყო დიმიტრი ინსპექტორად და ან ვისთვის მოეკიდათ ხელი, რომ ყველა კლასში ერთსა და იმავე დროს გუგუნი გაჰქონდა „წიგნაკოს“ სიმღერას.

IV.

დიმიტრი აბაშიძეს მიერ დაბნეული თესლიდგან ორ-ნი სიკვდილმა მიაწყო, ამიტომ მათზედ აღარას ვიტყვით, ერთი დიმიტრისგან გაბედნიერებულ ოსეთში გადავარდა და იმისი არა ვიცით რა, ორი კი ნაყოფიერ ადგილზედ დაეცა და დღლები აღმოსცენდა. ილიკოს ბლაღოჩინობა თუ სამრევლო სკოლების მეთვალყურეობა შესთავაზეს, მიხაკო მასწავლებლად დანიშნეს თელავის სასულიერო სას-წავლებელში. მალე დაიწყო ამ უკანასკნელმა კაცი ჭამიო-ბა: შესჭამა თავისი ყოფილი მასწავლებელი დვდელი ნა-რეკლიევი და იმისი ადგილიც თითონ მიიმატა. ამას არ დასჯერდა და თავის მელა-ძეობით მთელი სასწავლებელი მუცელში ჩაიყუდა.

ჯან—ვერდი.

---

*) გაიძვერა შეგირდებს უწოდებდნენ „ყაზანს“ ამხანა-გები. ეგრე იმიტომ იქცევით, რომ გინდათ სახელმწიფო ხარ-ჯზედ ყაზანის სასულიერო აკადემიაში გავგზავნოთ სემინა-რიის მთავრობამაო.

**) ილიკო ცოტა ენა-ჩლუნგი იყო.

## ხუცების აღსარება.

ათას ცხრაას ხუთსა წელსა გავხდით სოციალისტები.
ჩვენც ვმართავდით ხშირათ კრებას, შეგვიყვარდა მიტინგები;
შევიბრალეთ ჩვენი მრევლი, უარ ვყავით საკურთხ-დრამა,
ვასრულებდით სულის საქმეს—არ გვახსოვდა სმა და ჭამა.
ჩვენც ვიძახდით ზოგ-ზოგივით „გაუმარჯაოს ერთობასა“,
რა სჯობია მუშა ხალხსა, მათთან შრომას და ძმობასა.
მედავითნეც შევიბრალეთ, აღარ გავხდით ჩვენ თავხედი,
მეოთხედის მაგიერათ—დაუნიშნეთ მესამედი.
ჯვარის საწერს და მკვდრის სამარხს ვსჯერდებოდით მანეთს ერთსა,
მიცვალებულს უწირავდით: ვავედრებდით მის სულს ღმერთსა.
დავღარიბდით, ჩამოყვითლდით, დაყვეჩუტა მთლათ მუცელი.
რაც მაშინ ჩვენ დღე დაგვადგა, გვიკვირს როგორ გაუძელით!
შეისმინა ღმერთმა ლოცვა — გადმოგვავლო მადლით თვალი,
გავიხედეთ ჯარით მოდის ალიხანოვ ღენერალი.
მოგვიკრიფეს ორ-ორი წლის დარჩენილი დრამის ფული,
დაილოცა მათი სუსხი! გაახარეს ჩვენი გული.
რაკი დროი ხელთ მოგვეცა მედავითნეც გვიხრის ქედსა!
მესამედის მაგიერათ გვჯერდებიან მეოთხედსა.

რაჭველი შურდული.

# სცენები სცენისათვის.

თავისუფლების ახსნა და განმარტება.

რამდენიმე იმერელი გლეხი ხის ქვეშ სხედან და ერთი მათგანი, სახელად სიკოია, უხსნის დანარჩენებს 17 ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობას.

გუშინ ჩემი გაზრდილი ჩამევიდა ქუთაისიდან და გვიპრაპაკანდა და გვიქადაგა, თუ რავალი თავისუფლება მოგვანიჭა ხელმწიფე იმპერატორმა.

— არიქა, ბეჩა, სიკოია, გვითხარი, გვიამბე!..

— პირველ ყოვლისა მოგვანიჭეს, შენი ჭირიმე— შენ გენაცვალე ეგ,—**ბეჭდური თავისუფლება**... ეს ბეჭდური თავისუფლება, ჩემო ძამიავ, შეიცავს სამ ნაირ რასმე: პირველია... ხომ იცით ბეჭედი... თითზე ჩამო-საგდები ბეჭედი... ეს ბეჭედი აქნობამდე შეგეძლო მარ-ტვა ერთს თითზე წამეგეცვა... ეხლა რამდენიც გინდა წამოიცვი!... მეორე—არის კიდო ერთნაირი ბეჭედი..

მამასახლისი რომ მოწმობას მოგცემდა, ბეჭედს დაარტყამდა ბოლოში... ეხლა თუ გინდა ბოლოში სტკიცე თუ გინდა თავში, შუაში და თუ გინდა გარდი-გარდმო, სულ ერთია: როგორც გეხერხებოდეს და გემარჯვებოდეს!.. მესამე, ჩემო ბატონო და ხელმწიფევ, ბეჭედი... ბეჭი... ბეჭი სულ ერთია.—აქნობამდი შეგეძლო დვდლისთვის მიგერთმია ცხვრის ბეჭი. ეხლა შეგიძლიან ან იმას მიართვა ან თვითონ მიირთო. სულაც რომ არ მოუტანო, ვინ არის დამძალებელი. ჭოდა ასთე.

— ძანიალ კარგია, წორედ კარგია!

— ეხლა ჩემო ბიძია, **სარწმუნოების თავისუფლება**... ეს თავისუფლება ის არის, რომ, თუ აქნობამდე მარტო ქრისტიანეთ ყოფნა შეგეძლო, ეხლა გინდა თანთარი იყავი, გინდა ურია, გინდა ლემენცი, გინდა ფრანგი. შენი ნებაა, გინდა იარე ეკლესიაში, გინდა არა! ხატს გინდა ეცი პატაჯი გინდა სამთელიც აღარ აუნთო! ვინაა მოძალე!... დვდლების ხსენებაც აღარ იქნება – ვისაც უნდა იმან იტკიოს მის შენახვაზე თავი...

— აგი ვერაა კარგი... ღმერთი და სარწმუნოება...

— ეს კიდო არაფერი! ეხლა ვთქვათ, ნათლობა და ქელეხობა რომ იყო — მოისპო. გინდა მონათლე გინდა არა, გინდა დამარხე გინდა ძაღლებს გადაუყარე შენი მკვდარი... მხოლოდ მეც იმ აზრისა ვარ რომ ეხ ნამეტან ცუდი იქხება, მარა სამაგიეროდ **ქორწინების თავისუფლება** სწორედ რომ კარგია... აქნობამდე შეგეძლო მარტო ერთი ცოლი გყოლოდა და ისიც კანონიერი, ეხლა კი რამდენიც გენებოს იმდონი იყოლიე, ვისიც მოგეწონოს იმას დაეპატრონე... შენ ცოლსაც ვინც უნდა იმას გაუგორდება... ასთე რომ აქაც სრული თავისუფლებაა, ხოლო რაც შეეხება ნათელ-მირონობას და რაცხა ჩვენ რომ ვიცით ნათესაობას—ეგ ყველა გაუქმნდა: – თუ მოგეწონა შენი მახლებელი, სრული პრავა გაქვს სახლში დეისვა და გვერდზე მეიჯინო...

— ვეი პლეჩ: დავდუპოლვართ კაცო!...

— მეიცა შე კაცო, ჯერ სადაა, კიდო, კიდო არის კიდევ ყველაზე კარგი: **თავისუფლება ქონებისა**. ეხლა ვსთქვათ შენ შენი შეძენილი არა გაქვს-რა არც სახლ-კარი, არც მიწა-წყალი. აგერ შენს ბატონს კი თხრად აქვს. მიდი, უშტრიგინე ერთი და დაეპატრონე ყველაფერს! თუ გაბედა რამე და იხუა, მიაძახე: მიწა, წყალი და ჭკერი-თქვა! შამა მისი შვილია და იტყვის რასმე...

— ეს სწორედ ჩინებულია და სასურველიც!...

— მეიცა ბოშო, არც ისთეა საქმე, რავარც შენა გგონია: ეხლა ვსთქვათ შენ გაქვს და მე არაფერი გამაჩნია — მაშინ მეც პრავა მაქვს შენსას დავეპატრონო და ასთე ყველაფერი შენიც იქნება და ჩემიც, იმისი და სხვისიც— გასწიე და გაგლიჯე!...

— მაგი ნამეტანია! მაგი ვერ მივართვით! ჩემს ოფლით ნაშოვნს უსისხლოდ ვერავის მივცემ!...

— წაგართმევს და არ მისცემ... სადაურია!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეიცა, ჯერ სადა ხარ! ამას გარდა არის კიდო **სიტყვის თავისუფლება**... ესეც კაი თავისუფლებაა და ორნაირია—ორ მაგი: ერთი არის, რომ დასწერ რასმე და გაზეთებში ჩაბეჭდავ და მეორე სიტყვით და ენით იტყვი... რა თქმა უნდა კარგია, როცა კაცი სიმართლეს იტყვი და დასწერ და არც არავინ დაგიშლის. მაგრამ მაგარი ის არის, რომ შეიძლება იპლურტო სიმართლის მაგიერ სიმტყუვნე დასწერო და ილაპარიკო.—ეხლა ვინც უფრო მოხერხებულად იტყვის და დასწერს ის ქე გაიყვანს თავისას და ქე დარჩები შენ პირში ჩალა გამოვლებული, ასთე რომ ამ მხრივ ეს ზაკონის კანონი რამდენად კარგია იმდენად მავნეა, მიტომ რომ შეიძლება სიმართლე ქე გაამავო და მტყუანი ქე გაათეთრო... ამას გარდა არის კიდო **კრების თავისუფლება**—რამდენი გინდა იმდენი კრება გამართე და რაც გინდა ის ილაპარიკე.—ეხლა ვსთქვათ გაიმართა კრება, ამ კრებამ რაიმე გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება კანონის ძალით ზაკონის ბადალია... ვსთქვათ ეხლა კრებამ საკოიას და დათიკელას გადაუწყვიტეს სიკვდილი—მაშინ ქე ჩამოგახრჩობენ კანონის ზაკონით და ხმაც ვერ ამოგედება!..

— იმე, იქნება ამ კრებაზე სულ მოსყიდული ხალხია და სადაური კანონის ზაკონი იქნება მერე მისი გადაწყვეტილება!!

— ასთე კია და რას იზამ... ეხლა ვსთქვათ ვინმე გინდა გააბახირო, აიღე კალამი და როგორც გინდა ისთე ატრიალე... ნუ შეარჩენ შენს მტერს ნურაფერს სულ ერთიანად გადმოუბრუნე... ეგეც ზაკონის კანონით სწორი იქნება...

— ეგ კი ნამეტანია! ეხლა მე რომ მივადგე და სულ დედ-მამა ულანძღო რა გამოვა...

— ის გამოვა რომ თავისუფლებაა და უორიფერი შეგიძლიან აკადრო კაცს და უნდა იკადრო კიდეც... მარა ყოლიფერს სჯობია **ხელუხლებლობის თავისუფლება**.—ვერავის ვერ შეახებენ, ვერც ხელს დაადებენ, ვერც შენ დაგადებენ ხელს... სახლში რომ აფაზაკი და ყაჩაღი გემალებოდეს დედ-მამის შვილია არც სტრაჟნიკი და ნაჩრიკი მოვა და ვერც გაგჩხრეკავს—რავა შეუძლიან!...

— ეგ კი კარგი ყოფილა.

— ეხლა არ იკითხავ **ზაბასტოვკის უფლებას**!.. აი რა არის ესა... გინდა იმუშავებ გინდა არა... ვინ დაგატანს ძალას. მაშინათვე ზაბასტოვკა სტკიცე ყურში... არ მინდა-თქვა... ამდენს თუ მომცემ ხომ კარგი ვიმუშავებ, თუ არა ირიკავე-თქო... ისიც, მეტი რა გზა აქვს, ან უნდა დეიღუპოს ანა არა და უნდა მოგცეს რასაც სთხოვ, ასე რომ მუშა კაცს მუდამ ხელში მუხრუჭი

უჭირავს შეძლებული კაცის კისრისათვის! როცა უნდა მაშინ მოუჭერს... ეს კიდო რაა. შეგიძლიან ზაბასტოვკა ვისაც გინდა იმას გამოუცხადო: ცოლს-შვილს, ქმრებს და მღვდელს.—ასეთი გაფიცვა დიდი რამ არის და ქე ვისარგებლებთ გაჭირვების დროს...

— კაი მაგრამ, იმათ კი არ შეუძლიანთ ზაბასტოვკა გტკუცონ, ვისაც შენ აყენებ ამ ზაბასტოვკას?...

— იმას?.. აგი კარგად არ ვიცი, მაგრამ ალბად იმათაც შეუძლიანთ... და თუ მართალი გინდა სწორედ ეგ არის ცუდი: ვსთქვათ ეხლა მასწავლებლებმა ზაბასტოვკა მოგვარტყეს, მერე არ უნდა შევუსრულოთ მონათხოვნი?. — ან კიდევ ცოლებმა ზაბასტოვკა გაგვიმართეს.— რას იზამ მაშინ?. —

— ცუდი შენს მტერს - ძუდი საქმე ჩვენ დაგვემართოს! ..

— ასე და ამ რიგად ყოფილა სხვა და სხვა თავისუფლება, მარა როგორც თქვენ ოავითონ შეატყობდით ეს თავისუფლება თუ კაცი თავის თავად არაა პატიოსანი და სინიდისიერი, შენი მტერი ცუდი საქმე დაგვმართოს ამ თავისუფლებამ ეხლა კაცო თურმე, გვარ-ტომობის და ეროვნობის თავისუფლებაც არის.—ვინც რა ხალხს უნდა იმას მიეკედლება. ვინ დაგიდევს შენს ქართველობას... გინდა ქართველი იყავი გინდ ჩერქეზი. გინდ რუსი და გინდა თურქი .. არაფერი არ დაგემრახება, მიტომ რომ რაკი თავისუფლება არის, რაგვარც გინდა ისე მოიქცევი და დაიქცევი კიდეც...

— არა, საკოია, ის შენი პრაპაგანდისტი ნათესავი, ეტყობა ჭკვაზე მწყრალად უნდა იყოს. ასე რომ იყოს ყოლიფერში თავისუფლება, ხომ მეორედ მოსვლა მექვიდა, ხომ გადაირია ქვეყანა .. ჩვენში, ნამეტურ იმერეთში, მე რომ ვიცი მათი სინიდისი და პატიოსნება ვაი ჩვენი შვილების ბრალი, რაზე დასჭამენ და დაგლეჯენ ერთმანერთს... არა ძამიავ, **თავისუფლება, რა თქმა უნდა, დიდი რამ არის, თუ იგი უსამართლობის მომსპობია, თვარა თუ უსამართლობას და ავკაცობას ხელს შეუწყობს ღმერთმა დაგვიფაროს... ეგ თავისუფლება სახრჩობელა იქნება!...**

ვასო ბალანჩვაძე

## სახლის პატრონები და დგმურები.

— აქირავებთ ამ ოთახებს?

— დიახ, ვაქირავებთ, მაგრამ თქვენ რა...

— უნდა დავიქირავოთ. .

— რამდენი ხართ?

— ორნი, ცოლ ქმარნი...

— ბავშვები გყავთ?

— ჯერ არა...

— ჯერ არაო?... მაშ სჩანს გეყოლებათ?

— რა ვიცი...

— როგორ თუ რა იცი?... თქვენ გადაჭრით სთქვით: გეყოლებათ შვილი თუ არა.. რადგან შვილიანებს ოჯახს არ ვაძლევ!...

* * *

— ბატონო მოსამართლევ, გთხოვთ ჩემი სახლის დგმურს დაუყოვნებლივ დაალევინოთ სადგომი, რადგან პირობა დაარღვია!...

— რით დაარღვია პირობა?

— მართალი რომ ვსთქვა უფრო კი ცოლმა დაარღვია: ამ ნახევარი წლის წინად სადგომი მივაქირავე და იმიტომაც მივეცი, რადგან შვილები არა ყვანდათ, ხოლო გუშინწინ ღამე მაგის ცოლს შვილი გაუჩნდა და ისიც ტყუპი... ასე რომ... უმორჩილესად გთხოვთ სახლი დაალევინოთ და ჯარიმაც გადაახდევინოთ.

— მერე ასე მალე სად იშოვონ სადგომი ან თავიანთ ტყუპებს რაღა უყონ?

— „პოვივალნი ინსტიტუტში“ ჩააბარონ...

— მერე იქ ვინღა მოუვლის?

— ცნობილი ექიმი ქ ა ნ ა ნ ო ვ ი!...

ბებია.

* * *

შენს ახლოს ვიდექ და შემოგტრფოდი ..
ყურსა ვუგდებდი ციურსა ხმებსა;
მკერდი გიცემდა აზვირთებული
და თვალთ აფრქვევდი ნათელ სხივებსა;
ამ დროს მე შენთვის უცხო ვიყავი
და არ გესმოდა ძგერა გულისა;
ვერ მიმხვდარ-იყავ ღრმა საიდუმლოს,
არც ხმა გხიბლავდა სიყვარულისა!..
ალტაცებული მაცდურ სიტყვებით
სუ ლსხვა არსებას ელიმებოდი;
მე კი მდუმარე ხმას ვერა გცემდი
და შორიდანა კვლავ შემოგტრფოდი!..

ა. შ—ლი.



## პროვინცია

—

**ქ. თელავი.** ნახული და გაგონილი. იმაზე კარგი არაფერია, რასაც შენი ყურით გაიგონებ და თვალით დაინახავ, თორემ იქნება არავინ დაიჯეროს, რომ თელავისთანა ბედნიერი ერი არსად იყოს.

მაშ აბა გავიდეთ ბაზარში რა დროსაც კი გნებავთ, შევიხედოთ ბულვარის გვერდზე „სალხინოში“ და „ზვარში“,

თუნდა სხვა სამიკიტნოებში, რომელთა რიცხვი თან და თან მრავლდება, როგორაა ხალხით სავსე, მაგრამ „სალხინო“ და „ზვარი“ სულ სხვაა. ეს ორი განცალკევებითაა მოწყობილი ბულვარის ახლოს, ინტელიგენტ-მოხელეებისათვის და კნიაზებისათვის. არის საიდუმლო შესავალი მოსწავლეებისათვის. აი აქ ყოველ დღე ისმება კახური და შემდეგ ბულვარში მოსეირნეთა ყურს ატკბობს მათი სიმღერა „ოდელია დელია, საქმე გამოგველია“...

მაშ ზაფხული რისაა, თუ კი საქმე ექნებათ და თელავის მოსწავლე ახალგაზდობაც არაა გასამტყუნარი, როცა თავის უფროს ძმებს არ ჩამორჩებიან და ზოგჯერ ბულვარში მოსეირნეთა შორის სკანდალს ახდენენ, თითქოს კლუბი იყოს. ამას წინედ ამათი წყალობით ცოტას გასწყდა ერთი უბედურობა და სროლა არ ასტყდა?!

მართალია ხან და ხან „რაზნოობრაზიე“ კარგია, მაგრამ ჩვენ ქალებს არ უყვართ, რომ წივილ კივილით აქეთ-იქით გარბოდნენ.

ამათ რომ მხიარულობას უკიჟინებ, მერე ვინ არ შეექცევა დროს ტარებას თელავში. არა თუ მხიარულობენ, არამედ სხვასაც ძალას ატანენ იმხიარულონ, ითამაშონ, იცეკვონ, იხტუნონ, რა ენაღვლებათ თუ გარშემო გოდება და ტირილი გაისმის.

აი თუნდა კლუბის მამები ავიღოთ. მოსწყინდათ ნიადაგ წელიწადი ბანქო—ბილიარდი და სკანდალები.

ამიტომ გადაუწყვეტნიათ ამ ზაფხულს რეფორმების მოხდენა, რაიცა ცხოვრებაში უკვე განახორციელეს: 6 ივლისიდამ დაწყობილ სექტემბრამდე ყოველ ცისმარე კვირას გაიმართება განსაკუთრებითი საცეკვაო საღამოები წევრთა და მათ სტუმრებთათვის. დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. ცეკვა ყველასათვის სავალდებულოა. ქალებისათვის მოკლე კაბის იუბკა და დეკოლტე. რათა სასურველი ნაყოფი მოიტანოს ამ საშვილიშვილო საქმემ, ამიტომ ყოველთვის დაინიშნება მამაკაცებისათვის დოღი. ვინც პრიზს აიღებს, იმას ბუფეტში მუქთათ აქეიფებენ.

ყველა მხიარულობს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს მეტი. ცუდი დარი დაუდგა თელავის საზოგადო მოღვაწეკასების მამას. მისი წარმოშობილ საორსულო კასის ტერტერა თვის დამქაშებით ციხეში ჩასვეს, სხვებს საბრალმდებულო ოქმები მოელითო და თუმცა როსტომაშვილს ოფიციალურად არაფერს უპირობენ, რადგანაც სოციალისტობაზე დიდი ხანია ხელი აიღო, მაგრამ ნეტა ისევ იმათ ხელში ყოფილიყო და ხალხის ყბაში—კი არ ჩავარდნილიყო. აი ზაფხული მოვიდა, ქვემძრომნიც—კი მზეზე ამომზეურდა და ივანე-კი ოთხკედელშუა ზის ჩაკეტილ, გარედ ვერ გამოდის, სხვაგან ვერსად მიდის. ალბად სცხვენიან ხალხისა, რადგანაც ყველა დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი შესაფერი კურთხევით იხსენიებს.

როსტომაშვილი დიდად უკმაყოფილოა თურმე ხალხისა, კაცის დაფასება არ იციან, არა ჰგვანან ამერიკელებს, როგორ დააჯილდოვეს თუნდ მაგ. გრამოფონის მომგონი ედისონიო და მე—ხომ რაღაც 8—9 თვეში მხოლოდ 4,000 მან. ავაძრე გაძვალ ტყავებულ ხალხს და სადაც სამართალია მეტი მერგებოდაო. ერთხელ ასეთი თადარიგიც დაიჭირა: მამულების ყიდვა დაიწყო, სხვანაირად მოაწყო თავისი ცხოვრება და კიდე აქაც ფონს გავიდოდა, რომ ხალხს მისი ოინები არ გაეგო და დროით არ გაენებებინა თავი...

მერე, ნეტა ვის შერჩენია არამობით ნაშოვნი ფული? არაკს! არც ივან პავლოვიჩს შერჩენია რამე...

ერთი-კიდევ.

**სუფსა.** „კასიოს“ პატივსაცემლად

ვიღაც „ავყია“ მჯღაბნელი ესდეკებს გამოესარჩლა
და „ეშაკისა მათრახში“ გამოცანა გამოხანხლა;
„პოვეტობას“ ხელი მიჰყო, ძალა დაატანა თავსა,
მაგრამ მაინც კრეტინია. ვეღარ არჩევს კარგს და ავსა.
როცა ტვინი ულიტინებს, სხვისი თვალში ბეწვსა ხედავს...
ეს იმიტომ რომ თვის თვალში დირეს ნახვას ვეღარ ბედავს.
მოკაზმულა, მოპრანჭულა, ევროპულად მაიმუნობს:
არვინ მოსწონს თავის გარდა, აბა თავს ვით დაიწუნობს!...
„პოვეტობას“ მითი ჩემობს, რომ შაირობს უტიფრათა,
მოკლე ჭკუის პატრონია, გაუშვია თმები გრძლათა.
„ან“ და „ბანის“ მოსწავლეა, თავი მოაქვს მარქსისტებში,
ზნეობაზე ურცხვად ცოდავს თავის ტოლ და ძმა ბიჭებში...
სამ წლის წინედ ლიდერათა დაბა სუფსას მოევლინა,
უვიცობით, მეტიჩრობით დიახ ბევრი წაახდინა,
აყვა მოდას,—უარყოფას, თვისტომობა შეაგინა
და „პოვეტურ“ ტლინკებისთვის „ეშმაკეთში“ ჰპოვა ბინა.

ენ-კან-იან.

**გუბი.** „ფათრეთი“ (იგივე სურათი).

გამოაჩნდა შუათა გუბს
მავნე მუწუკ ხორც-მეტივით
და უაზრო ლექსთა ჯღაბნით
თავი მოაქვს „პოვეტივით“.
კითხეთ! თვ თონ სწორედ გეტყვის,
ჭიათურას რად არ მივა?!
ვგონებ მიტომ, გაიძვერას
რომ გაუვლეს პირში თივა.
ჩაჩანიძე ხომ „გაპარა“,
ეს მანეთი ჩაუმასქნა
ბრეგვაძესა კი—ორასი...
აბა კითხეთ, რატომ ქნა?
ჭიათურას ნოქართ ფული?
იმაზედ ხომ იძღო გული!!
ნეტა ეხლა არ მიხვდება?
„კარგი საქმე წინ დახვთება!“
ტრუა-ტრუაც [1]) არ მოაწყენს,
მის გარშემო ცეკვას ქე იქს?
ლევარსამთან „ფაიტონში“
რაღა ურჩევნია ქეიფს...

„ცხრა-თავა“

**ძუთაისი** მოდნისხალხი.

ერთობ გამრავლდნენ ჩვენშია
„სანიშადურო“ პირები:
ბზისა მქონელნი თავშია,
შუბლ-გარეცხილი ვირები.
ბოროტებითა შემკულნი,
ძალ-მომრეობის მცველები;
თავიანთ მოძმეთ ორგულნი,
შხამ-გესლიანი გველები.
მაბეზღარნი და მყვლეველნი,
მშრომელი ხალხის ჭირები;
«ავტონომიის» მგმობელნი;
ცენტრალიზმისა გმირები!

ალ. ბახუნაშვილი.

[1]) ტრუა-ტრუა ნიშნავს ორღანს.

## ყურ-მოკრული საუბრები

—

მასწავლებელი (მოწაფეს) ბატარავ, მითხარ ვის ეძახიან ეშმაკებს?

მოწაფე. ეშმაკებს უწოდებენ დედამიწის გაჩენის დროს გაკეტხულ ანგელოსებს, რომლებიც ღმერთმა ადმინისტრატიულის წესით ძირს გადატყორცნა.

—

— თქვენ ვინა ბძანდებით?

— მესამე „დუმის“ დეპუტატი.

— ბედნიერი კაცი ყოფილხართ:— დუმას მიგიგნიათ — არც არასფერს აკეთებთ და ჯამაგირებიც მოგიმატეს!

—

— მართლა ბანკმა სახლი გაგიყიდა?

— დიახ...

— ეხლა რა გეშველება?!

— სწორედ ეხლა მეშველა...

— როგორ?

— გავბროლეტარდი, ესე იგი გავსოციალისტდი!..

—

— რაში გამოიხატება ქართველური ბედოვლათობა?

— რუსთველის ანდერძში — „რასაცა გასტეგ შენია, რაც არა დაკარგულია!“

—

— ქართველი ერისთანა გამძღე ხალხი იშვიათი მოგდენაა სხვა ერთა შორის.

— ოდონდაც. საკმარისია მოვიგონოთ: ლანგ-თემური, მურვან-ყრუ, შაჰ-აბასი, ადა-მამედ-ხანი, ავარიელი ალიხანი, განმათავისუფლებელ მოძრაობის სუსხი, რუსეთის ბიუროკრატიას „კულტურა“ და... ქართველ ესდეკების დაბეგვრა!

**მონადირე.**

## წერილი რედაქციისადმი.

### პასუხად ბ-ნ ქრ. გურგენაძეს.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ „ნიშადურში“ და მით საშუალება მომცეთ პასუხის გაცემისა.

ქრისტაფორე გურგენაძე გაზეთ „ცხოვრების სარკის“ მე-19 №-ში მიწვევს სამედიატორო სამართალში იმ საყვედურისათვის, რომელიც მე მიძღვნია მისი ამხანაგების ნოე ჟორდანია და კარლო ჩხეიძისათვის. რაც შეეხება ჩემგან ვითომც გინებას, უნდა მოვახსენო, რომ ამ ხელობას არ ვარ ჩვეული; მხოლოდ ამას კი თამამად ვიტყვი, რომ ნოე ჟორდანიამ დ კარლო ჩხეიძემ გინებად და შეურაცყოფად ის უნდა იგულისხმონ, რომ ისეთი პირები, როგორიც ქრისტ. გურგენაძე და სხვა მისთანეებია, თავიანთ თავს მათ ამხანაგებად უწოდებენ და არც ნოე და არც კარლო არ თაკილობენ მათს ამხანაგობას... ეს ერთი.

მეორე: არავისთვის არ არის დაფარული, რომ ჩვენის ხალხის ეროვნული გრძნობის ჩაქრობაში და თვისტომობის უარყოფაში დიდი სამსახური მიუძღვით ნოეს და კარლოსაც და ამასაც სხვებთან მეც ვამოწმებ. ვერ დავმალავ იმასაც, რომ მათი ზედ გავლენა ჩვენს მოუმზადებელ და განუვითარებელ ახალგაზდობაზე მეტად ცალმხრივი და მავნეც იყო. ეს აზრი წინედაც მითქვამს და დღესაც ვამბობ, და, რაღა თქმა უნდა, მზათა ვარ, თუ ისინი გამომიწვევენ სამედიატორო სასამართლოში უსათუოდ გავყვე, ხოლო ქრისტაფორე გურგენაძეს კი მაშინ გავყვები სამედიატორო სამართალში, როცა მისი „ორბუზი“ ჟორდანია ცენტრალისტურ სახელმწიფოს პრეზიდენტათ ეყოლებათ და კარლო ჩხეიძე პირველ მინისტრათ, მაშინ თვით ქრისტეფორე უთუოდ იქნება ცენტრალისტურ ჯანდარმთა კაპიტანი მაინც, თუ არ პოლკოვნიკი. და მაშინ, რა თქმა უნდა, ნება არ მექნება რომ არ გავყვე.

მანამდის კი ნება მიბოძეთ საქვეყნოთ გამოვაცხადო ქრისტეფორესთანა პირებს (ხეობელის გმირების გალლერეიდან) სამედიატორო სამართალში არ გავყვები, რადგან მათთან არა თუ სამართალი, ლაპარაკიც კი სათაკილოდ მიმაჩნია, ზოგი ნიღაბ ჩამოფარებული ჭაობის ბაყაყები «ეშ მათრახის» ფურცლებზედაც კი თარეშობენ ჩემს წინააღმდეგ; ერთი იმათგანი, რომელსაც დიდ ყიამეთათ მოაქვს თავი, ამბობს: „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“, ამაზე მინდა ბ. „ყიამეთს“ მოვახსენო შემდეგი: ვცდილობთ მრავალს კამეჩებს მივატეხოთ რქები და ჩვენ კი, ჩია ხარებს, შეგვრჩეს იგი. გიცნობთ ვინც ბძანდებით ბ-ნო ყიამეთო!“ ჯერ მამა თქვენს რომ ჩიბათის ტყეში რქები მოატეხეს, ის რქები გამოგადგება ყანწათ და მერე ჩემი იხმარეთ, როცა მომატეხთ... მანამ იოლად იყავით იალაღზე!

**დიმიტრი გიგინეიშვილი.**

## „ეხლა გაუგიათო, ეხლა შეუტყვიათო“.

ერთს დიდ სახლის ეზოში, სხვათა შორის, ცხოვრებდა ორი ოჯახი, ერთ ოჯახის უფროსი წევრი — ქმარი მუშაობდა, წელებზე ფეხებს ადგამდა, წვალობდა, მაინც ოჯახს ვერ კვებამდა. მეორე ოჯახისა ქმარი კი ცუდად იყო, სახლში კი გამუდმებული სადილ — ვახშმები, ლოტო-ვეჩერები იმართებოდა; პირველის ცოლს უკვირდა და ქმარს ხშირად კითხავდა ხოლმე: ჩვენ ვმუშაობთო, ისინი კი ცუდად არიანო და ჩვენზე კარგად ცხოვრობენო ქმარი უპასუხებდა: „ჯერ არ გაუგიათო, ჯერ არ შეუტყვიათო“.

ერთს დღესაც „სუდებნი პრისტავი“ ეწვია მეორე ოჯახს, რაც რამ გააჩნდათ აუწერეს, ყველგან წითელი ბეჭდები დაასვეს. საღამოთი ქმარი რომ დაბრუნდა, პირველის ცოლმა რაც რამ მომხდარიყო ყველაფერი უამბო, ქმარმა მიუგო: „ეხლა გაუგიათო, ეხლა შეუტყვიათო“

ქმარი დიდიხანია მიხვედრილი იყო, თუ რაგზით პარპაშობდნენ, ცოლი კი ეხლა მიხვდა რომ მეორე ოჯახი ვახში-ვალებით და სხვისი ოფლით ფუფუნებდნენ...

**პეტრუშკა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართველების ტიპები** სოფ. გომარეთიდან.

## რედაქციისაგან

ნიშადურის რედაქცია ამით ატხადებს და ამოწმებს რომ „ქიზიეი და ქიზიეულების“ ავტორი გ. ნარიგლეჯია სრულებით ა. შ—ლი არ არის.

## განმარტება ს. მათხოჯის სკოლის შესახებ.

მერვე თვე არის რაც მათხოჯში ქალების პროფესიონალური სკოლა გავხსენი და ვმეცადინობ მოწაფეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს სკოლაში სწავლობენ როგორც დიდვრანი, ისთე პატვრანი ქალები: ქართულ და რუსულ წერა-კითხვის, ხელ-საქმეს და ჭრა-კერვას. ვიმედობდი, რომ საზოგადოების შეგნებულნი პირნი დახმარებას გამიწევდენ ამ საქმეში. მაგრამ იმედი გამიცრუვდა. შეგნებულმა (!) პირებმა დახმარების მაგივრად საქმის სრულიად ჩაშლა მოინდომეს. ამ მიზნით რამოდენიმე წერილი გამოუშვეს მათ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ (№№ 23, 28)-ში, სადაც მასხრული კილოთი დასცინიან ახალ სკოლას. ამ წერილებს მე ყურადღება რა მივაქციე, რადგან მათი არა სერიოზული ხასიათი საზოგადოებამაც იცნო. დღეს, როდესაც სკოლამ ფეხი მოიდგა და სამოსწავლო მთავრობამ ორჯელ ინახულა ის, ჩემმა მეგობრებმა (!) ოხუნჯობას თავი გაანებეს და სკოლის წინააღმდეგ ბრძოლას სხვა ხასიათი მისცეს.

გაზეთ „ცხოვრების სარკის“ მე-9 № ში ბ. „მა—ლი“ სერიოზულად ლაპარაკობს მათხოჯის სკოლების ავ-კარგიანობაზედ. წერილის ბოლოში ამბობს: აქაური ქალები ძლიერ ეტანებიან სწავლა-განათლებას, განსაკუთრებით ჭრა-კერვას, ამიტომ ქალთა პროფესიონალურ სკოლას მშვენივრად შეუძლია აქ არსებობაო. 30-დე მოსწავლე ქალს ასწავლის აქ ვიღაც მეფარიშვილის ქალი“, რომელიც ბევრს ახდევინებს და საქმეც ვერ მიყავს რიგიანათო. კარგი იქნება, რომ სხვა ვინმე უფრო გამოცდილი და მომზადებული მასწავლებელი მოვიდოდესო.

ვეთანხმები ბ. „მა—ლის“, რომ მჯობნის მჯობნე არ დაილევა და მისი სურვილიც ადვილი შესასრულებელია. მაგრამ ერთი ეს მითხრას, თუ აქ ქალების სკოლას კარგი ნიადაგი ქონდა, რისთვის ამდენ ხან არ გახსნა სკოლა და საუცხოოთ არ წაიყვანა მისი საქმე? როდესაც სკოლის საძირკველი იდგმებოდა, „ვიღაც მეფარიშვილის ქალისაგან“, რისთვის მაშინ არ გამოჩნდა და დახმარება არ გაუწია სკოლას რჩევითა და საქმის მოწყობით? თუ მას ნამდვილ ქალებს სწავლა-განათლება აინტერესებს, დღეს რა უშლის კარგი და იაფ ფასიანი მასწავლებელი მოიყვანოს და საქმე რიგიანად დააყენოს? მაშინ, ხომ იცის, რომ ყველა ჩემი მოწაფეები მის მიერ გახსნილ კარგ სკოლაში გარდავლენ. ყველაფერი ეს ადვილი მოსახერხებელი იყო და არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მას ამისთვის სრულებითაც არ შეტკივა გული. ბ. „მა—ლი“ ლაპარაკობს, რომ მე მოწაფეებს ბევრს ვახდევინებ. ამაშიაც დიდად სცდება ის. თვითეული მოწაფე (მოზრდილი) იხდის თვეში ორ მანეთს იმ მოსაზრებით, რომ მან ერთ ან ორ წელს უნდა შეისწავლოს ხელ საქმე, ჭრა-კერვა და წერა-კითხვა. ხოლო ამ ნაირი ერთი ან ორი წლის კურსი თვეში ორ მანეთად ძვირი არ არის. ბ. „მა—ლი“ იძახის: მასწავლებელს თვიურად 40 მან. ექნება შემოსავალი, და ეგებ იმის ეშინია, რომ მოწაფეების რიცხვმა არ მოიმატოს და მით მე ზომაზედ მეტი შემოსავალი არ მექნეს. მისდა სასიხარულოდ ვაღიარებ, რომ ამ რვა თვის განმავლობაში მე თვიურად თუმანი ძლივს მიწევს. ეს მისთვის, რომ სწავლის ფულს წინ და წინ და პოლიციური საშვალებით არ ვღებულობ. მისი გადახდა დამოკიდებულია მოწაფის პატრონის შეძლებასა და სინიდისზედ. ამ ნაირებ ადვილი შესაძლებელია ზოგიერთ მოწაფეებმა რამოდენიმე თვე ისწავლონ და მერე ფასს გარდუხდელად სწავლას თავი გაანებონ. გარდა ამისა შემოსავლიდან ვასწორებ სკოლის ქირას და სხვა სასკოლო ხარჯებს. ხოლო თუ მოწაფეთა რიცხვმა მოიმატა და შემოსავალიც გაიზარდა, იმ შემთხვევაში სკოლაში საჭიროა მეორე და მესამე მასწავლებელი, რადგან ძნელია ერთმა მასწავლებელმა ასწავლოს მრავალ რიცხოვან სკოლაში ხელსაქმე, ჭრა-კერვა და წერა კითხვაც. ამ მიზეზებისა გამო ასეთ ტიპის სკოლაში სოფლის ადგილზედ დადგენილი თვიური გარდასახადი ორი მანეთი უკანასკნელი არის, რომლის მოკლება ყოვლად შეუძლებელია. ხოლო თუ ვინმე ვერ შეიძლებს მის გარდახდას, მას ჩვენ აღმოუჩენთ რაიმე კერძო დახმარებას. ბ. „მა—ლის“ რომ ახალ გაზრდა ქალების სწავლა აინტერესებდეს, დაფიქრდებოდა და ამ ნაირ წერილს არ გიმოუშვებდა. სჩანს, რომ მისი სურვილი არის საქმის გაუმჯობესობა კი არა, საზოგადოების ჩემზედ მომდურება და სკოლის მთლად გაუქმება. იმედი მაქვს, რომ როგორც ამ დენ ხან, ისთე აწიც არ დაუჯერებენ მის მზგავს ადამიანებს. მიკვირს რისთვის ამხედრდენ ზოგიერთები ამ სკოლის წინააღმდეგ, თუმცა და ვიცი, რომ ეს უფრო ზნეობრივი უმეცრებაა, ვიდრე გონებრივი. აქ უნებლიედ მაგონდება კრილოვის არაკის („Прохожіе и Собаки“) დასკვნა: „Хулители (Завистники) на что ни взглянутъ, подымутъ вѣчно лай“... მაგრამ იმ იმედით, რომ, „полаютъ, да отстанутъ“ მე ისევ განვაგრძობ ჩემ საქმეს.

**მასწავლებელი კალინა მეფარიშვილი.**

**რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.**

**მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩა № 5.**